# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 106. ხუთშაბათი, 3 აპრილი 1903 წ. გაზეთის № 2114.




ჯვარცმა.—სურათი ა. დიურერისა.

### არვის მოსწონს...

არვის მოსწონს, მეგობრულად
თუ ვის რამე დავუძრახე
და სიმართლე, შინ თუ გარედ,
ღვთიურ მცნებად დავისახე.

ყველას თურმე პირზე ღიმი,
გულში გესლი უთესია.
დაფარულად მეგობრისთვის
უხვად შხამი ულესია!..

თუ სადმე ვთქვი სიტყვა წრფელი,
წინ ბოროტად დამესახა;
გამიცინეს, მაგრამ იქვე
ვიგრძენ, სიტყვა გამელახა!

ბევრჯელ მწადდა ტოლთან ერთად
ქვეყნის საქმე გამეტანა,
მაგრამ თურმე აქაც ყველა
თავკერძობით მომეტანა.

მწარედ ვიგრძენ მაშინ ქვეყნის
უსამართლო მოქმედება;
ვთქვი: ამ ხალხში საიმედო,
საქვეყნო რა გაკეთდება?!..

მაგრამ თვალით უხილავი
მოწოდება ხშირად მიხმობს;
მეუბნება: „სცადე, მიწა
ნაყოფს მუდამ როდი ახმობს!“

მეც ნელ-ნელა, ფუტკარივით
ამ ციურს ხმას ვდევ უკანა
და არ დავდევ, თუ რომ ბევრჯელ
მტრობამ ზნე რამ მომიტანა!

დავიწყებული.



თ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი

ახლად არჩეული ტფილისის ქალაქის მოურავად

# სურათები

(დასასრული *)

## VI

საშინლად ჰყინავდა. ზამთარი სცდილობდა სავსებით გამოეჩინა ძალ-ღონე და ცივი ქარიც გესლიანად ენას ასისინებდა.

თორმეტი საათი იქნებოდა. ტფილისის ერთ განაპირა უბანში, ქუჩის დასაწყისში ოდნავ ბჟუტავდა ფანარი და სუსტად ანათებდა მოუკირწლავ, შეყინულ, ტალახით სავსე ვიწრო ქუჩას. საიდანღაც, შორიდან, ისმოდა სიცივისაგან შეწუხებულ ძაღლის წკმუტუნი. ფანართან ახლო იდგა, ყაბალახში მაგრად შეხვეული, ორი ქალაქის უმცროსი მეთვალყურე. ზარმაცად ბაასობდნენ. ეტყობოდა, სიცივესა და ქარს იმათთვის ჯერ ვერა დაეკლორა, რადგან კიდევ ძალაში იყო მაგარი სითხე. მხოლოდ დრო-გამოშვებით სქელ თათმანში გახვეულ ტლანქ ხელებით შეყინულ წვერ-ულვაშს იწმენდნენ, თან ღონივრად შეისვრიტავდნენ და ფეხების ბაკაბუკით ამცნობდნენ ქვეყანას თავიანთ არსებობას. ხან-გამოშვებით შორიდან ოდნავ მოისმოდა მატარებლის სევდიანი კივილი, რომელიც ქარის ტრიალში მალე იშლებოდა და შორს იფანტებოდა.

ვასილ ვასილიჩის სახლში სინათლეს კაშკაში გაჰქონდა. ზალაში, ოთახის შუა ადგილზედ, გამოეწიათ ძველი რკინის კრაოტი, რომელზედაც პერანგის ამარა, თხელ საბნის ქვეშ, ლოგინში იწვა ანნა, ვასილ ვასილიჩის მეუღლე. ბალიშებზე მძიმედ დაედო თავი, ხშირი ქერა თმა გაეშალა და დაუდევრად გადაეყარა ლოგინზედ.

სამ საათზე მეტი იქნებოდა, რაც ანნას მუცელი ასტკივნოდა და წუთით-წუთზე მოელოდა განთავისუფლებას. დროგამოშვებით ტკივილი უმატებდა, სახე ეჭიმებოდა და უწითლდებოდა. გულ-მკერდი კვნესით იწევდა მაღლა და თვალები ელულებოდა.

— ნეტა რასა ბძანებთ! რომელი ერთი მოსთვალოს ადამიანმა...—სჩიოდა ნენე, ანნას დედა, ვასილ ვასილიჩზე და შვილს თავიდან არა შორდებოდა:—სამი წელიწადია სულ ამ წვალებაში ვართ და ლამის ორივე მოგვინაკლოს... ცხონებულ ქმრისგან—აქ ნენეს ცრემლები მოერია, მაგრამ მალე შეიკავა თავი და განაგრძო—ერთი უბრალო სიტყვა არა მსმენია, მაგისგან კი ლანძღვა-გინების მეტი არა ვიცი რა... განა, ამ დღეში უნდა ვიყოთ ეხლა! განა, ეხლა აქ არ უნდა იყვეს! განა მე უნდა მეზობლის ბიჭს ვარბეინებდე იმის საძებნელად! სირცხვილი არ არის!... ეჰ, რამდენჯერ დავაპირე მოვშორებოდი და ჩემთვის ვგდებულვიყავ, მაგრამ ეხლა რაღა ვქნა, გენაცვალეთ! ორი გროში მქონდა ჩემი სამკვდრო-სასიცოცხლო, ისიც დამტყუა და გადამიჭამა... ან კი როგორ უნდა მოვშორდე!.. მეშინიან, შვილს მომიკლავს.. ერთი მანეთი როგორ არ უნდა ექვავოს კაცს სახლში!

— დედავ გიკვდები!—მწარედ წამოიძახა მელოგინემ და ნენეს სიტყვა გააწყვეტინა. მელოგინემ თავი გვერდზედ გადიწია, ნახევრად ტიტველა მკლავები გაინთავისუფლა და საბანზედ დაპყარა.

— არა გიშავს რა, შვილო! გენაცვალოს დედა, ცოტაც და ღმერთი გვიშველის...—ამშვიდებდა ნენე და ტიტველა მკლავებზედ საბანს აფარებდა.

— ტკივილმა უმატა,—დაიწყო თავის ქნევით მოხუცებულმა ბებიამ და დასწვდა პაწია შუშას:—ნენე, აჰა გამომართვი, დაალევინე, დამშვიდდება!—და ამ სიტყვით ჩაის კოვზით მიაწოდა ნენეს „ვალერიანის წვეთები.“

მოხუცებულ ბებიას მუხლები მოეკეცა იქვე მელოგინეს ფეხთით, იატაკზედ, მკლავები დაეკარწახებინა და გარს შემოეწყო, რასაც კი მისი ხელობა მოითხოვდა: თბილი წყალი, ტასტი, ღრუბელი, სუფთა და ჭუჭყიანი მჩვრები, პაწია შუშა ვალერიანის წვეთებისა, ბამბა და სხვა. უდარდელად ალაგებდა ერთის ადგილიდან მეორეზედ პაწია, კოხტად შეკერილ მომავალ ბალღისთვის საჭირო ნივთებს, თვითეულს ლამფის შუქზედ სინჯავდა და თავისთვის რაღასაც ბუტბუტებდა. დროგამოშვებით ფეხზედ წამოიწევდა, მელოგინეს გასინჯავდა, რაღაც განკარგულებას მოახდენდა და ისევ მძიმედ დაეშვებოდა.

ერთ კუთხეში სტოლზედ ჩამქრალი სამოვარი ოდნავღა შიშინებდა; ისე წუწუნებდა, გეგონებოდათ შორიდან ზურნის ხმა ისმისო.

მელოგინემ ვალერიანის წვეთები დალია და ცოტას დამშვიდდა.

— ნენე! —პატარა სიჩუმის შემდეგ დაიწყო შუახნის დედაკაცმა, რომელსაც ლოყებზედ ხელები მიეწყო და კრაოტის მეორე გვერდით სკამზედ ჩამომჯდარიყო:—თქვენც როდი უნდა აუხირდეთ ხოლმე, როცა ვაჟკაცის ხასიეთი იცით. ვასილი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. სულ ხომ ეგრე არ იქნება! მოტყდება ეგეც. აი ჩემი გიგო!—ხელები გაანთავისუფლა და სკამზედ გასწორდა:—პირველში სულ გარედ და გარედ! ერთი წუთი სახლში გული არ უდგებოდა. ეხლა კი—ვენაცვალე ღმერთსა! ვასილიც ეგრე იზამს: როცა წვრილშვილი დაეხვევა, მაშინ რას იზამს, თუ არ მოტყდება! ისევ ჩემო, ნენე, დაყვავებით, ტკბილი სიტყვით...

— ტკბილი სიტყვა რომელია, ჩემო კარგო!—გააწყვეტინა ნენემ:—სულ თვალ-წარბში შევყურებთ; გულში რომ მეტირებოდეს, სიცილით უნდა უპასუხო ხოლმე, მაგრამ რაც არ არის, არ არის!.. ვეუბნები, შვილო, ხელს არ მოგცემს ამხანაგების აყოლა... მაგრამ ვის ესმის, კედელს ცერცვი შეაყარე, მოდი! ამხანაგებს რა ენაღვლებათ, ცოლი არ უტირით და შვილი... აი იმ დღესაც ლოდინში გული გადაგველია... როდის, როდის გვაღირსა მობრძანება, — საათის შვიდი იქნებოდა! ერთი კი უთხრა ჩემმა შვილმა, სადა ხარ აქამდისაო? როგორ თუ სადა ხარო, შემოგვიტია და შენს მტერს, რაც ჩვენ დღე დაგვაყენა! მოგვდგა, ბატონო, გაგვლანძღა, გაგვათრია, მერე ქუდი დაი-

---

*) იხილე დამატება № 104.

ხურა და წავიდა. მას აქეთ თვალით აღარ დაჰნახვებია ჩემ შვილსა... ღმერთმა ხომ იცის, რა ნებივრად გამიზრდია, ცივი ნიავი არ მიმიკარებია და ეხლა კი, არაქათ გაწყვეტილი, აგერ ორი ღამეა გულის ხეთქვაში თეთრის თვალით გაუთენებია! — აქ ნენემ ვეღარ შეიმაგრა თავი, მუხლებზედ ხელი დაირტყა და ტირილს მოჰყვა.

— დედი! — წამოიძახა ღონე მიხდილმა მელოგინემ, მძიმედ ამოიოხრა და თავი საცოდავად მეორე გვერდზედ გადააგდო: — ნეტა მეტი ლაპარაკი არ იცოდე და შენ უარესად გულს არ მიხეთქამდე... აღარ გაჩუმდები ახლა! ოჰ, ღმერთო ჩემო!..

— კარგი, გენაცვალოს დედა, გულს ნუ იბრუნებ! რასა იქ, შვილო, როცა გული დამწვარია! — მიეალერსა ნენე, საბანი გაუსწორა და რომ შვილისთვის ცრემლები აღარ დაენახვებინა, პატარას მოშორდა, თვალები მოიწმინდა კაბის კალთით და თავი ნაღვლიანად ჩამოჰკიდა.

კრაოტის ცოტა მოშორებით, კედელზედ ატუზულიყო მეზობლის ყმაწვილი ქალი, გულხელი დაეკრიფა და სულ განაბული თვალს არ აშორებდა მელოგინეს.

მაღლა, ოთახის კუთხეში, წმინდა სანთელი უკვე სულ მთლად დამწვარიყო და ოდნავღა ბჟუტავდა ღვთის მშობლის ხატის წინ.

ნენე ახალგაზრდა ქალს მიუახლოვდა, თვალით ხატზედ უჩვენა და სთხოვა, სანთელი გამოეცვალა. ყმაწვილი ქალი მარდად შეხტა სკამზედ და ხატის წინ ახალი სანთელი დაანთო. მოხუცი მოკრძალვით დადგა ხატის წინ და სასოებით თვალცრემლიანი ევედრებოდა, ადვილად გადაერჩინა იმისი შვილი.

შუახნის დედაკაცი, რომელიც აქამდის რაღაზედაც დაბლა ელაპარაკებოდა ბებიას, სკამიდან წამოდგა, პირჯვარი გადიწერა და ნენესთან მივიდა. ხელების შლით ნენეს რაღაზედაც ელაპარაკებოდა და ურჩევდა ექიმისთვის ვინმე გაეგზავნა. მაგრამ ექიმს ფული უნდოდა და ნენეს კი არა ჰქონდა.

— მთელი მეზობლები შემოვაჯერე, — შესჩიოდა ნენე — და ერთი მანეთის მეტი ვერსად ვიშოვე...

— მაშ ხინა მაინც დავალევინოთ, ბებიაც ამას ამბობს... კარგია, მშობიარობას დააჩქარებს! — ურჩევდა ნენეს შუახნის დედაკაცი.

— ყველაფერი ჩემი უნდა გაძნელდეს! — სჩიოდა ნენე და კამოდში ქინაქინას ეძებდა.

— ოჰ, რა უბედური ვარ!.. ვასო, ნიკო!.. — მწარედ წამოიძახა მელოგინემ და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა უდროვოდ გატეხილ სახეზედ.

ანნას ერთ წუთს ტკივილი დაავიწყდა. ფიქრებში წასულს წარმოუდგა თავისი თავი საფლავში, ქმარი გაუბედურებული, პაწია ნიკო უპატრონოდ მოწანწალე ქუჩაში, დედა ძონძებში გახვეული მათხოვრად და კიდევ სხვა უფრო უარესი...

— შენ გენაცვალოს დედა, აი ხინა, დალიე! — ძლივს ახერხებდა ნენე და აკანკალებულის ხელით ჭიქაში კოვზს ურევდა: — ვასილიც მალე მოვა... ნიკოს სძინავს...

— დალიე, ანნა, დალიე ჰო! — ეხვეწებოდნენ დანარჩენებიც.

ანნამ ქინაქინა დალია. მელოგინეს ცრემლები მოსწმინდეს და საბანი გაუსწორეს.

ქარი თავისას არ იშლიდა და საშინლად ღრიალებდა. ოთახის კარებს გიჟივით აწვებოდა და კოჭებამდის აზრიალებდა. სახლის სახურავი დინჯად, მაგრამ საზარლად ირყეოდა და ყრუდ ჭრიალებდა. ქარისაგან აგლეჯილი კრამიტი ხრიალით ჩამოსრიალდა სახურავზე და თუნუქის ჩაჟანგებულ ღართან შესდგა. ქარს გული მოუვიდა, გააფთრებულმა კიდევ შეუსტვინა. ღონივრად წამოჰკრა თათი და გაქვავებულ მიწაზედ ჭახანი მოადინა კრამიტსა. ალაყაფის კარებმა კიდევ ერთი უკანასკნელად დაიჭრიალა, ტკაცუნი მოიღო და საშინელის ხმაურობით ყინულზედ გაიშხლართა. ფინიას თავზარი დაეცა, კუდ ამოძუებული სახლის კარებს ეცა და ცახცახით გულსაკლავად მოჰყვა წკმუტუნს.

— ეხლა კი დროა! — წაიდუდუნა ბებიამ და საქმეს შეუდგა.

დანარჩენებიც კრაოტს გარს შემოეხვივნენ და ბებიის განკარგულებას ასრულებდნენ. საშინელმა ტკივილმა მოუარა მელოგინეს. სახე უცნაურად დაეპრანჭა და ცეცხლივით აენთო.

— მიშველეთ! მოვკვდი! — გაისმა შემაძრწუნებელი კივილი და ზედ დაერთო ახალშობილის წკრიალა ხმა.

— ვაჟია, ვაჟია! — ერთხმად წამოიძახა ყველამ და სიხარულით ულოცავდნენ მშობიარეს მშვიდობით გადარჩენას.

ბებია დამჭკნარ ხელებით ფრთხილად ახვევდა სუფთა მჩვრებში პაწია ვარდის ფერ სხეულს და თან ბუტბუტით განკარგულებას იძლეოდა. ყმაწვილი ქალი სანთლით ხელში ღიმილით დასცქეროდა ქორფა სხეულის ტრთოლვას და შორიდან საყვარლად ეალერსებოდა. შუახნის დედაკაცი კრაოტთან წაღუნულიყო და ღრუბლით ფუსფუსებდა.



ბრძოლა არსებობისათვის. — სურათი ცვისტისა.

მშობიარეს აუარებელი სისხლი სდიოდა... ნენე გიჟივით თავს დასტრიალებდა, ღვთის მშობელს ევედრებოდა, შვილს ანუგეშებდა და ბალიშებს უსწორებდა.

— მაჩვენეთ! — მისუსტებულის ხმით წამოიძახა მშობიარემ ცოტა გონს მოსულმა და ბალიშიდგან ოდნავ თავი გადიწია.

— აი, შვილო, შეჰხედე! ეხლავე ვაჟიკაცია, ენაცვალოს ბებია!—ახარებდა მშობიარეს ბებია, თან ბლღი მაღლა აეწია.

— მომიწვინეთ აქ, გვერდით!—გამხნევებულის ღიმილით ეხვეწებოდა მშობიარე.

— ნუ შფოთავ, ნუ ინძრევი, გენაცვალოს დედა! ბავშვი კარგად არის, შენ თავს გაუფრთხილდი...—ეხვეწებოდა შვილს ნენე და თან ათასგვარ საქმეს ავლებდა ხელსა.

დრო გადიოდა. მელოგინე თანდათან სისხლისაგან იცლებოდა და წუთით წუთზედ სუსტდებოდა. ვერცერთი შინაური საშუალება ვერა ჰშველოდა: სისხლი არა სწყდებოდა. ყველა შიშის ზარმა აიტანა. ნენე თავზარდაცემული გიჟივით დასტრიალებდა და არ იცოდა, რა ექნა.

— სად არის ის ჩემი დამღუპველი, ის ღვთისაგან შეჩვენებული, ეხლა მაინც წავიდოდა ექიმთან!—იწყევლებოდა მოთმინებიდან გამოსული ნენე.

„ღრ..რ..რ...“ ერთი საშინლად დაიღრიალა ქარმა და ქუჩის კარებისგან აგლეჯილი წვრილი ნაფოტები ოთახის კარებს გულმოსულად მიაყარა.

— დიდედო, დიდედო!—მოისმა კარებიდან.

ნენე გიჟივით ეცა კარებს და გარედ გავარდა.

— ნახე შვილო, ვასილი!—გულის კანკალით მოუთმენლად ეკითხებოდა ნენე მეზობლის ვაჟიშვილსა.

— ვერა დიდედო ვერა! ყველგან ვიყავ, ღმერთის მადლმა! —დალალულ-დაქანცული ძლივს ახერხებდა ყმაწვილი ბიჭი, რომელიც გაყინულ ხელებს იორთქლიდა და შეცივნულ ფეხებს ძალზედ აბაკუნებდა.—როგორ არის, დიდედო, ანა?—დაეკითხა თავის მხრივ ყმაწვილი და ერთი საშინლად აკანკალდა სიცივისაგან. დიდედას იმისთვის არა სცალოდა.

— რაღა ვქნა! შვილი ხელიდან მეცლება, შვილი!—წამოიძახა ნენემ, თავში ხელები წაიშინა და უკანვე შევარდა.

ყმაწვილ ქალს ჯამით წყალი ეჭირა ხელში და სცდილობდა მშობიარე გონს მოეყვანა.

— აჰ, ნეტა ჩვენები იყვნენ მაინც სახლში, რომ ერთერთი ქალაქის ექიმთან გამეგზავნა!—ნატრობდა ხანშესული დედაკაცი.

— დამიჭი, მე გავგზავნი ექიმთან!—წამოიძახა ყმაწვილმა ქალმა, ჯამი ხელში მიაჩეჩა დედაკაცს და გულ ამომჯდარი გავარდა გარედ. თვალცრემლიანი მირბოდა სახლისკენ. მირბოდა, რომ შლიაპისთვის მოგროვებული გროშები მიეცა ბიჭისთვის ექიმის მოსაყვანად. ცოტა ხანს შემდეგ ისევ თავს დასტრიალებდა მშობიარეს ყმაწვილი ქალი და ყოველ წამს მოუთმენლად მოელოდა ექიმს.

წუთი წუთზე მირბოდა. ბიჭიც დაბრუნდა ცარიელი, რადგან სიშორის გამო ექიმი არ გამოჰყოლოდა.

მშობიარე სისხლისაგან იცლებოდა. ბოლოს, სისუსტეს ველარ გაუძლო, მაჯის ცემამ უკლო, გული ოდნავლა უფეთქდა, ნაცრის ფერი ედებოდა. ერთი უკანასკნელად კიდევ ამოიკვნესა და სამუდამოდ თვალები დაჰხუჭა...

— მიშველეთ, შვილი მომიკლეს!—შეჰკივლა ნენემ და თავში ხელები წაიშინა:—ღვთის მშობელო დედაო, შენ გაეცი პასუხი ჩემს დამღუპველს!—დაიძახა ნენემ და გაციებულ სხეულს ქვითინით გადაეხვია.

ქარი ისევ უდარდელად ღმუოდა და გესლიანად სისინებდა. ვასილ ვასილიჩი და ნიკალაი ნიკალაიჩი კი, ვინ იცის, დროს სად ატარებდნენ!..

გ. მაქსიმიძე.



სააღდგომოდ ნავაჭრი მოჰპარეს.



ექიმი. ნუ გეშინიათ, ორ-სამ დღეში გაგასეირნებ.



ქმარი. უარს ამბობ, რომ ეს წერილი შენთან არ არის მოწერილი? შენ სტყუი, აქ ცხადად სწერია, შენი ქმარი სულელიაო.

ცოლი. ჩემო კარგო, განა ქალაქში ჩემს მეტს არავისა ჰყავს სულელი ქმარი?...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 2 Апрѣля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.